20.12.2018

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის ნოემბერი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0,6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 5,2 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 5,6 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასების 0,9 პროცენტიანი მატება ფიქსირდება. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 46,0 პროცენტიანი ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის ნოემბერში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის ნოემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**105.2**	**5.23**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**100.9**	**0.12**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**105.6**	**4.92**
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	115.8	1.85
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	111.2	0.98
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**146.0**	**0.19**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე=100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge